საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნოდარ პაპუკაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	24	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი : 28/05-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ნოდარ პაპუკაშვილის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ნოდარ პაპუკაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი ნოდარ პაპუკაშვილი გამოირჩევა კორექტულობით, თავდაჭერილობითა და საკუთარი ემოციების მართვის უნარით. კანდიდატს სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას გამოკითხული რეკომენდატორები
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

			და მასთან სამსახურებრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25	ნოდარ პაპუკაშვილთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, ნათელი გახდა, რომ იგი ფლობს სამართლის ფილოსოფიას, კონსტიტუციურ სამართალსა და ადამიანის უფლებების სამართალს. ამასთან, კანდიდატი მეტნაკლებად იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	24	25	კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება და გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნების უნარით. იგი ამჟამად არის თბილისის ღია უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სრული პროფესორი, ასევე, სს „გუდვილის“ რეაბილიტაციის მმართველი.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20	ნოდარ პაპუკაშვილი გამოირჩევა გამართული მეტყველებითა და განსხვავებული აზრის მოსმენის უნარით. ამასთან იგი ღიად და გასაგები ენით გამოხატავს მის პოზიციასა და შეხედულებებს. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის[1] შესწავლის საფუძველზე მის წერის უნართან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ნოდარ პაპუკაშვილს გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და საკუთარი შეხედულებების თანმიმდევრულად გადმოცემის უნარი.

[1] სამეცნიერო შრომების კრებულში გამოქვეყნებული სტატია - „მთავრობის პასუხისმგებლობის ინსტიტუტი საზღვარგარეთის ქვეყნებში, ზოგადი მიმოხილვა“.

			ამასთან, ტექსტი არის გამართული, ნათელი.
პროფესიული თვისებები	14	15	კანდიდატი არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე, პუნქტუალური და გააჩნია დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10	ნოდარ პაპუკაშვილი არის ღია სიახლეების მიმართ და აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. აღსანიშნავია, რომ მას მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგში.
პროფესიული აქტივობა	4	5	კანდიდატის პროფესიულ აქტივობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი დაკავებულია პედაგოგიური საქმიანობით და წარმოადგენს თბილისის ღია უნივერსიტეტის სრულ პროფესორს. აგრეთვე იგი არის სამართლებრივი წიგნების თანაავტორი და გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო სტატია.
ქულათა ჯამი	92	100	
დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ნოდარ პაპუკაშვილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ნოდარ პაპუკაშვილის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც		

	სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, ნოდარ პაპუკაშვილის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ნოდარ პაპუკაშვილის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ საჯარო მოსმენისას გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლის</u>* თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ ნოდარ პაპუკაშვილის პირად თვისებებს გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი არის კეთილსინდისიერი, პატიოსანი და საქმისადმი ერთგული. უნდა ითქვას, ისიც, რომ ნოდარ პაპუკაშვილმა საჯარო მოსმენაზე დატოვა კორექტული, გაწონასწორებული და თავშეკავებული პიროვნების შთაბეჭდილება. მნიშვნელოვანია, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი გამოირჩევა პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნებით და იგი სამსახურებრივ, ფინანსურ თუ სხვა ხასიათის ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. კერძოდ, დროულად იხდის საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებულ ჯარიმებს, კარგად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და სხვ. *<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლის</u>* თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ ნოდარ პაპუკაშვილის დახასიათებისას გამოკითხული რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, პრინციპული და სამართლიანი. ამასთან, მან საჯარო მოსმენაზე ზოგად თუ სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას დატოვა თავდაჯერებული, მყარი, შეუვალი და ზეგავლენის მიმართ მედეგი პიროვნების შთაბეჭდილება. კანდიდატის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ნოდარ პაპუკაშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც იგი გამოირჩეოდა პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობით. *<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით უნდა

	აღინიშნოს, რომ ნოდარ პაპუკაშვილი კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე კი ნათელი გახდა, რომ კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა, სისხლისამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა და იგი არც დაზარალებულად ყოფილა წარმოდგენილი. ამასთან, რაც შეეხება სასამართლოში წარმართულ დავებში მის მხარედ მონაწილეობის საკითხს ამის თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მოპასუხედ მონაწილეობდა ორ სამოქალაქო საქმეში, პირველ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა - თანხის დაკისრება, თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის განჩინებით მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი. ხოლო მეორე საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა - ზიანის ანაზღაურება. მაგრამ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 დეკემბრის განჩინებით მხარეთა მორიგების გამო შეწყდა საქმის წარმოება. ასევე, ნოდარ პაპუკაშვილთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად შემექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი არის თავდაჭერილი, თავაზიანი და აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. რაც შეეხება *<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს</u>* ნოდარ პაპუკაშვილის პიროვნულ თვისებებს და მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი კოლეგებსა და იურიდიულ წრეებში სარგებლობს მაღალი პროფესიული ავტორიტეტით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის ინფორმაციის თანახმად, ინტერნეტ სივრცეში კანდიდატის შესახებ იძებნება სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის, მის მიერ გაკეთებული განცხადებები, ინფორმაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის კონკურსში მისი მონაწილეობის შესახებ და სხვ. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ ნოდარ პაპუკაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა ტრენინგში და იგი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. *<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებლის</u>* თაობაზე, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ნოდარ პაპუკაშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება და იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის

	ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე კანდიდატ ნოდარ პაპუკაშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. კანდიდატის მიერ *<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნასთან დაკავშირებით</u>* უნდა აღინიშნოს, რომ ნოდარ პაპუკაშვილთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, ნათელი გახდა, რომ იგი ფლობს სამართლის ფილოსოფიას, კონსტიტუციურ სამართალსა და ადამიანის უფლებების სამართალს. ამასთან, კანდიდატი მეტნაკლებად იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 22 იანვარს ნოდარ პაპუკაშვილთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი იყო გაწონასწორებული, თავდაჯერებული და თავაზიანი. იგი ღიად და თავისუფლად გადმოსცემდა საკუთარ მოსაზრებებს და საინტერესოდ აანალიზებდა სამართლებრივ საკითხებს. თუმცა, საჯარო მოსმენაზე ნათელი გახდა, რომ მას ესაჭიროება მატერიალური და საპროცესო

[2] იხ. ნოდარ პაპუკაშვილთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=RGMVfNEXL8I

	კანონმდებლობის უფრო სიღრმისეულად შესწავლა და ამ კუთხით პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავება. ნოდარ პაპუკაშვილის *სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის* შესახებ შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება და გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი. იგი ამჟამად არის თბილისის ღია უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სრული პროფესორი, ასევე, სს „გუდვილის" რეაბილიტაციის მმართველი. რაც შეეხება კანდიდატის *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარს* ამ კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ იგი გამოირჩევა გამართული მეტყველებითა და განსხვაბული აზრის მოსმენის უნარით. ამასთან, ნოდარ პაპუკაშვილი ღიად და უმეტესად გასაგები ენით გამოხატავს მის პოზიციასა და შეხედულებებს. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის[3] შესწავლის საფუძველზე მის წერის უნართან დაკავშირებით კი ის შეიძლება ითქვა, რომ ნოდარ პაპუკაშვილს აქვს ლოგიკური მსჯელობისა და საკუთარი შეხედულებების თანმიმდევრულად გადმოცემის უნარი. ამასთან, ტექსტი არის გამართული, ნათელი და მასში რაიმე თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. *პროფესიული თვისებების მახასიათებელთან* დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ნოდარ პაპუკაშვილი გამოირჩევა მიზანდასახულობითა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარით. ნოდარ პაპუკაშვილის *პროფესიული წვრთნის, აკადემიურ მიღწევებისა და პროფესიული აქტივობის* შესახებ მის მიერ განაცხადში მითითებული ინფორმაციის თანახმად უნდა ითქვას, რომ კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების ინტერესი. ნოდარ პაპუკაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ტრენინგში. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატს მინიჭებული აქვს მიხეილ ქურდაძის სახელობის სტიპენდია, არის სამართლებრივი წიგნების თანაავტორი და გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო სტატია. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ, იგი კითხულობს სალექციო კურსებს შემდეგ თემებზე: „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი", „მუნიციპალური სამართალი", „საკონსტიტუციო სამართალწარმოება" და „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები". აგრეთვე, ნოდარ პაპუკაშვილი წარმოადგენს „ბიზნესის გადახდისუუნარობის მმართველთა" ასოციაციის დამფუძნებელს/წევრს და „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის" წევრს.

[3] სამეცნიერო შრომების კრებულში გამოქვეყნებული სტატია - „მთავრობის პასუხისმგებლობის ინსტიტუტი საზღვარგარეთის ქვეყნებში, ზოგადი მიმოხილვა".

	შეჯამება ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ ნოდარ პაპუკაშვილთან დაკავშირებით შესაძლებელია, ითქვას რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნულის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 92 ქულას. ამრიგად, ვინაიდან უზენაესი სასამართლო არის მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლო და იგი ერთგვარად წარმოადგენს დოქტრინალურ სასამართლოს, რადგან დიდ როლს ასრულებს სამართლის ნორმის განმარტებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, აღნიშნული სასამართლოს მოსამართლეობა დიდ პასუხისმგებლობასთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი ამ ეტაპზე არ არის მზად დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05-2021